ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასავეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი.

თავადი ზაქარია ნიკოლოზის-ძე სიდამონ-ერისთავი და ნინო ნიკოლოზის ასული გერიჩისა სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობძანდნენ მათის მშობელის, **კნეინა სალომე სოლომონის ასულის სიდამონ-ერისთავის** მეორმოცე დღის წირვასა და პანაშვიდზედ, იანვრის 13, ვერის, წმ. ნიკოლოზის სასაფლაოს ეკკლესიაში. წირვა დაიწყობა დილის ათს საათზედ.

(2—2)

ქართულის დრამატიულის საზოგადოების წევრთა გამოეცხადებათ ამით, რომელ წესდების მე-13 და მე-17 მუხლების საფუძველზედ იქნება უჩვეულო საზოგადო ყრილობა დრამატიულის საზოგადოებისა ამა იანვრის 12 რიცხვსა, კვირას, 12 საათზე არწრუნისეულ თეატრის დარბაზში. ამისთვის მოიწვევიან წევრნი საზოგადოებისა.

თავმჯდომარე ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა თ. რაფ. ერისთავი.

(6—6)

ტფილისი, 10 იანვარს.

ქვეყანაზედ არ არის იმისთანა სულიერი, თუ ხორციელი საგანი, არ არის იმისთანა მოვლენა, რომ არა ჰქონდეს თავისი დასაწყისი, თავისი გამოვლილი გზა, თავისი აწმყო, წარმომდინარე წარსულისაგან და მაშასადამე თავისი ეგრედ-წოდებული «საბუთი ყოფნისა». დიდია თუ პატარაა, სულიერია, თუ უსულო ყოველი ამ ქვეყნიერობაში ექვემდებარება ამ უეჭველს და უცილობელს წყობილებას, რომელიც ყოველის საგნის მზრდელობისა და ასაკოვნების ისტორიას შეადგენს. უამისტოროთ არც ერთი გონიერი და მიხვედრილი კაცი ხელს არ მოჰკიდებს არა რა საგანს არამც თუ მის მდებიარობის გამოსაცვლელად, ანუ ცხოვრების გზიდამ თავიდამ მოსაშორებლად, არამედ მისის ღირსების და ავ-კარგიანობის ასაწყავადაც. ეს ასეა იმიტომ—რომ ყოველგან და ყოველსფერში დღევანდელი დღე გუშინდელის შვილია და დედაა ხვალისა. ვინც ამას ივიწყებს, იგი თვალებ ახვეულია, იგი ბრმათ და ყრუთ მოარულია და რაც უნდა კეთილის სურვილით იყოს იძულებული წირსაც თავს იქით ვერ მიუბრუნებს ისე, რომ არ შეჰსცდეს და მაშასადამე სურვილმა ამაოდ და უხეიროდ არ ჩაუაროს.

საქმის კეთილად წარმართვისათვის, უარესის უკეთესად გარდაცვლისათვის ამ მარტივის ჭეშმარიტების არ დავიწყება ისე საჭირო არსად არის როგორც მაშინ, როცა კაცი ადამიანთა ცხოვრების წყობას ასე თუ ისე იძულებულია შეეხოს. ადამიანის ახუ, უკედ ვსთქვათ, ერის ცხოვრების წყობა მეტად ხლართული ქსელია, მეტად რთული საგანია და ამასთანაც ყოველს მის მოვლენას თვის გვამსა და აგებულებაშივე აქვს ანუ სენი ჭკნობისა, ანუ ძალი აღყვავების განგრძობისათვის. პირველს გადაყენება უნდა ცხოვრების გზიდამ და მეორეს—ხელის შეწყობა და დამაბრკოლებთა მიზეზთა აცილება. ეს უცა-ბედად და ალალბედად მოსახდენი საქმე არ არის და კაცი, რაც უნდა დიდად საკეთილო სურვილით ძალ-დატანებული იყოს, რაც უნდა დიდის სიყვარულით და სიბრალულით აღძრული, ცარიელის სურვილით და სიყვარულით ვერას გააწყობს, თუ წინასწარვე არ შეიგნო,—ადამიანი, ან ერი თავის მიმავლობაში საიდამ წამოვიდა პირველ, რა გზა გაიარა და დღეს რა და რომელს წერტილზეა მდგომარე.

ვისაც რიგიანად სვლა უნდა წარმატების გზაზედ, ვისაც კეთილის სურვილის კეთილად განხორციელება აქვს განზრახვად და არა ტყუილი ფართი-ფურთობა, ვისაც ცნობიერად ჯერ კიდევ ნედლის ძველის გასხვლა უნდა ხეირობის გაძლიერებისათვის, ანუ ცხოვრებისაგანვე გადამხმარის მაგიერ ახალის ნერგის დარგვა აქვს ფიქრად, მან თვისი პირველის ბიჯის გადადგმა იქიდამ უნდა დაიწყოს, სადაც დღეს ფეხი უდგია თვითონ ადამიანთა ცხოვრებას.

განათლებულს წარმომადგენელს ჩვენში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროისას ბ-ნს ტიხეევს ჩვენზედ უკედ ჰსცოდნია, რომ თუ არ ამ გზით სხვაფერ განკარგება სახასო გლეხთა მდგომარეობისა შეუძლებელია. რადგახაც როგორც ერთობ რუსეთში, ისე ჩვენშიაც გლეხთა უნუგეშო მდგომარეობამ მიიზიდა დიდი ყურადღება, როგორც უმაღლესის მთავრობისა, აგრეთვე განათლებულის საზოგადოებისა და ლიტერატურისა, ბ-ნმა ტიხეევმაც თავის აქ მოსვლისავე უმალ დიდის სურვილით და სიყვარულით ხელი მოჰკიდა ამ საქმეს, მერე ისე ცნობიერად, ისე წინ-დახედვით მოჰკიდა ხელი, რომ უეჭველია დიდი მარჯვი მოელის. როგორც საფუძვლიანად განათლებულმა კაცმა, როგორც ჭეშმარიტად გულ-ადტკინებულმა, რომ მართალი ღვაწლი დასდოს მისდა ამ მხრით მინდობილის ერის საკეთილ-დღეოდ, ეხლანდელს უნუგეშო ყოფას მიზეზი მოუნახოს, რაც კარგი აქვს ძველს, შეარჩინოს და რაც ცუდი—მოაცილოს, სენს წამალი უპოვოს და ჯანმრთელს ძარღვს ერის ეკონომიურ ცხოვრებისას გზა და სავალი მიჰსცეს, ბ-ნმა ტიხეევმა ისეთი სამაგალითო ღონის-ძიება იხმარა, რომელსაც ჩვენ მთელის ჩვენის გულითა და სულითა თანა-ვუგრძნობთ. მან რაკი გულში ჩაისახა, რომ ჯერ მინამ ყოველს ამას შევუდგები, საჭიროა ვიცოდე ვისთან და რასთანა მაქვს საქმე, საჭიროა ვიცოდე აქაურის ეკონომიურის ცხოვრების განწყობა და გულ-ღვიძლი, გამოსთხოვა მთავრობას ფული, რათა ყველგან გაგზავნოს მცოდნე და საკმაოდ მომზადებულნი კაცნი და იმათის შემწეობით იქავ ადგილზევე შეჰკრიბოს ყოველივე ცნობა დღევანდელ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების შესახებ, მერე ამ ცნობებს ერთად თავი მოუყაროს ერთის საყოველთაო აზრის შესადგენად და ბოლოს ისე შეუდგეს აქაურ გლეხთა ყოფა-ცხოვრების განკარგებას. ჩვენის ფიქრით, ამ გვარად გამოკიდება საქმისა პირველი მაგალითია ჩვენში და ჩვენი გულითადი სურვილია, რომ ამა მართლა და სამაგალითო მაგალითმა ისეთივე სანატრელი ბოლო იქონიოს, როგორადაც სანატრელია თვით დასაწყისი.

ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ ესეც უნდა დავძინოთ, რომ ბ-მა ტიხეევმა თავისი ბრწყინვალე სურვილი უკვე განახორციელა კიდეც: ამოირჩია კაცები საჭირო ცნობების შესაკრებად, თითქმის ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას ცალკე კაცი მიუჩინა და ამა მშვენიერად დაწყობილის საქმის ბედმაც იმოდენად გასჭრა, რომ ბ-ნ ტიხეევის მიერ ამორჩეულთა კაცთა იმედი არ გაამტყუნეს. ყოველი მათგანი თვისდამი მინდობილის საქმის შესაფერი და ღირსეული აღმოჩნდა. ამბობენ, ცნობები უკვე მოუკრებიათ კიდეცაო და ეხლა შეკრებილის ცნობების დალაგებას, ერთს რიგსა და წესზე ასხმას შეჰსდგომიანო.

ი.

დეპეშა

იანვრის 10.

პეტერბურგი. 8 იანვარს ჟენევაში გარდაცვლილა პრინცი ნიკოლოოზ პეტრეს ძე ოლდენბურღისა. ამის გამო უმაღლეს სასახლეში თხუთმეტის დღით მგლოვიარეობაა დაწესებული.

სახლთა განათლების მინისტრი ცირკულიარით აუწყებს სამოსწავლო ოლქთა მზრუნველთ შემდეგს განკარგულებას უწმინდესის სინოდისას: ქალების გიმნაზიებში და პროგიმნაზიებში. საერთოდ ქალთა სასწავლებლებში მღვთის მეტყველობის მასწავლებელნი ადგილობრივის არქიელების დაუკითხავად, განწესებულნი არ უნდა იყვნენ.

სინოდის განკარგულებას ექვემდებარებიან აგრეთვე სხვა სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლებიც. ამასთან მინისტრი განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევინებს მაზედ, რომ მღვთის მეტყველების სწავლება და სარწმუნოებრივ—ზნეობით ყმაწვილთა აღზდა ადგილობრივ არქიელთა ზედა მხედველობის ქვეშ უნდა იყოს.

ლონდონი. ლორდების პალატაში, დედოფლისადმი მიხართმევ ად-

ფელეტონი

ღამის მეხრის სიმღერა.

ბეზირგნის შვილი არა ვარ,
არც არა ვისი ბატონი,
ღამის მეხრე ვარ უბადო
და იფნის სახრის პატრონი...
ცუდ მარსკვლავზე ვარ შობილი,
მარტო ჯაფა მხვდა წილათა:
კუმატ ღამეში ხარ-კამეჩს
დაველევ, ვაძოებ ფთხილათა.
ორი დღის ალო მერგება
მე ჩემი ჰირნახულისა,
და იმედი მაქვს გუთნისა,
იმისგან გადახნულისა...
გუთანო, ქრისტეს ნაკურთხო,
ღრმად გაუარე კვალია,
რომ შემოგვენატროს სუყველამ,
მგზავრს ჩვენზე დაჰრჩეს თვალია;
შენი იმედით ვცოცხალვარ,
რომ შენით ვჭამო პურია,
შენა გმსახურობ, შენც, მენა,
საქმე გამიწყე ძმურია:
გადააშავე ყამირი,
აღარ აივსოს თივითა,
გაუსვი სახნის-საკვეთი
ნალესი ალმასივითა...
გაჰკარ, გაუსვი, რას უცდი?
ღამის მზემ გადაიხაროს,
გაუსვი, გუთნის-დედისამც
ცოტა რამ გულმა იხაროს!..
ჰირიმე შენი, გუთანო,
ნაკურთხო ქრისტეს ჯვარითა,
არ მიღალატო, კვნესამე,
ბედ-შავ არ მომკლა ჯავრითა!..

თ. რაფ. ერისთავი.

* * *

რომელი რომელს იპოვის?

ამას წინად მივიღე ერთის ქალაქ გარედ მცხოვრებ კაცისაგან ქვემოხსენებული უსტარი. ვალდებულებათა გვგონია საჯაროდ გამოცხადდეს უსტარი დამატებითურთ.

ბატონო ანჩისხატელო, თუ ანჩისხატისუბნელო!

ამისთანა ხათაბალა გინახავთ?! კაცს თავიდამ ფულის მოშორება უნდოდეს და მიმღები ვერ ეპოვოს. ასეთს გაჭირებაში ვარ, რომ ღამე ძილი აღარა მაქვს და დღე მოსვენება. ვეღარც საქმეზე გული დამიდევს, აღარც ქვეყნისა მესმის რამე და აღარც ოჯახისა; ზრუნვისაგან აღარაფერი არ გამეგება და არ ვიცი რა წყალში ჩავარდე? წამალი დამდე რამე ღვთის გულისათვის და ერთი გადამარჩინე ამ ჭირსა. ღმერთიც დაგიმადლებს და კაციცა: ერთი ან რჩევა მამეცი, ან რამე გზა მაჩვენე.

ბატონებსავითა ცხოვრობთ მაგ ტფილისს ქალაქში, საქმე თურმე არა გქონიათ-რა, დროს გასატარებლათ რაღაცაები გაგიმართავთ: ეს «წერაკითხვის საზოგადოებაო», ეს თავადაზნაურთ შვილების განათლების შემწეველი საზოგადოებაო, ეს გეოგრაფიული საზოგადოებაო, ეს ახალგორელების (არქეოლოგიური უნდა, ჩემო პაატავ) საზოგადოებაო, ახლა ეს დრამატიული საზოგადოებაო. აქედ ვიკითხე, იქით ვიკითხე, ამბავი და ვითარება ამ საზოგადოებათა, მითხრეს ასე და ასეო: ვისაცა ჰსურს—ამ საზოგადოებაში შევაო, ფულს შეიტანს, დაეხმარება და საქმე გაკეთდებაო.

ამ ზაფხულს ჩვენკენ ქალაქის აქტიორებს წარმოდგენა ჰქონდათ. მიამა, ვისიამოვნე; ვთქვი, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ვინც თქვენ ხელს გიმართავთ მეთქი.

— თუ აგრე კეთილის მსურველი ხარო, მითხრეს, აი დრამატიულ საზოგადოებაში შედი წევრად, ფული რამ შეიტანე და ხელის გამართვა იქნებაო.

— ვინ შერცხვენილი არა მეთქი! ჩამრჩა გულში და ჩემ თავს აღთქმა მივეცი, რაკი ფულს ავიღებ მეთქი, (ასაღები მქონდა), მაშინათვე ჩაველ ქალაქს და ჩემის ხელით ჩავაბარებ იმ დრამატიულ საზოგადოების მმართველობასა მეთქი.

მართლა ფული მალე ჩავიბარე. ხომ იცი ნაღდი კაცი ვარ და ნაღდ ხალხთან ვიცი ხოლმე საქმის დაჭერა. არ დაიჯერებ, არც ვაციე, არც ვაცხელე, ავიღე გადადებული ფული, შევკარ ქისაში და გამოვიჭერ ქალაქისაკენ. მოველ თუ არა, ვეცი ერთ ჩემ ნაცნობს ბულვარზე: ასე და ასე, ერთის დღით ჩამოვსულვარ ქალაქში და აბა მაჩვენე დრამატიული საზოგადოების მმართველობა სად არის მეთქი.

— საქმე არა გაქვსო?

— როგორ თუ საქმე მეთქი! თქვენ აქ, ქალაქში საზოგადო საქმეებს აკეთებთ, ჩვენ სოფელში ოჯახში ვსხედვართ, ვერაფერი საქვეყნო რამ ვერ გაგვიკეთებია; შორიდამ მაინც გვინდა რითიმე შემწეობა მოგაწოდოთ მეთქი, რომ თქვენს მადლიან საქმეში

რესის გაჩხრეკის დროს, სალისბიურმა სთქვა: ბოლგართ-რუმელების საქმე, ყველა სახელმწიფოთა სურვილისამებრ გათავდება ისე როგორც თვითონ ბოლგარიის მთავარი და სულთანი უშუალოთ თვითონ ერთმანეთში მორიგდებიანო. რაც შეეხება სერბიის და მეტადრე საბერძნეთის მეტის-მეტს სურვილს, ინგლისი ხელს ვერ შეუწყობს. ბრიტანიის მთავრობა ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ აღმოსავლეთის მშვიდობიანობა არ შეირყეს, და იმედიცა აქვს, რომ საბერძნეთი გაფთხილდება და თავის თავს შიშით მოსილს განსაცდელში არ ჩააგდებსო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოცხადებულ იქმნა ახალი თორმეტი სერია 36 მილიონისა.

ხმა ისმის, რომ სახელმწიფო ბანკი თითო პროცენტს მისცემს კერძო პირთ, რომელნიც ფულს შეიტანენ საყოველ-დღეო გასატან-გამოსატანად (текущій счетъ), ხოლო ბანკებს არა-ვითარს სარგებელს არ მისცემს.

სენატმა უარ-ჰყო კასაცია კრონშტატის პოლიცმეისტერად ნამყოფის გალაგაჩოვისა და იმავე პოლიციის კვარტალნისა ტიმოფეევისა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. გერმანიის ბანკმა დასწია დისკონტი ვექსელებზე 4-დამ $3^1/_2\,^0/_0$-მდე, სესხებზე 5-დამ $4^1/_2$-მდე.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. პიროჩანცი და ნოვაკოვიჩი ჰფიქრობენ სახელმწიფოს საქმეებს თავი დაანებონ.

ᲕᲔᲜᲐ. ბოლგარიის მთავრობა ბოლგარიისა და აღმოსავლეთ რუმელიის [illegible] მავს; რუმელიის მილიციისაგან შესდგება ორი ახალი ბრიგადა. ფილიპოპოლში გაიგზავნა ერთი ნაწილი ფულისა, რომელიც უნდა დაურიგდეს მცხოვრებელთ მათგან აღებული სურსათისათვის.

* * *

ახალი ამბავი

⁂ გაზ. «კასპის» სიტყვით, ნობელის ამხანაგობას შარშან თავისი ქარხნებიდამ სულ 39 მილიონ ფუთამდე ნავთი ამოუღია. ამ რიცხვში 12 მილიონამდე დაწმენდილი კერასინი, ბენზინი და სხვა და სხვა ნავთის ნაშთი ყოფილა. გოგირდის სიმჟავე შეუმაუშავებია ქარხანას ამ ერთის წლის განმავლობაშივე 200,000 ფუთი.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, ამიერ რკინის გზაზე ამ ცოტა ხანში ნობელის ამხანაგობას ექმნება 200 სანავთო საკუთარი ვაგონიო. ამასთანავე ამხანაგობას აზრათა აქვს ნავთის მილი გაიყვანოს სურამის უღელ-ტეხილქვეშაო, მაგრამ ეს საქმე მაშინ შესრულდება, როცა ამიერ-კავკასიის რკინის გზა ველარ შესძლებს ამხანაგობის 200 სანავთო ვაგონი ამუშაოსო.

⁂ გაზ. «კავკაზს» შეუტყვია, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის შემოსავალი 1885 წლის განმავლობაში ყოფილა 5,796,339 მან. 251,107 მანეთით მეტი შემოსულა, ვიდრე მოელოდენო. შარშანდელს შემოსავალს შარშან-წინდელისათვის გადუჭარბებია 1,290,077 მანათით.

⁂ ამავე გაზეთს სწერენ, რომ ბექათუბნის ახლო-მახლო სოფლებში ქუნთრუშა მძვინვარებსო. ეს გადამდები სენი ჯერ პირველად ბექათუბნის სტანციაზე გაჩენილა და მერე იქიდამ გარშემო სოფლებსაც მოსდებია.

⁂ როგორც განცხადება გვაუწყებს, დღეს კვირას თორმეტ საათზე, არწრუნისეულ თეატრში უნდა მოხდეს დრამატიულის საზოგადოების საზოგადო ყრილობა. როგორც შევიტყეთ, ეს ყრილობა შეეხება მმართველობის წევრების ამორჩევას, რადგანაც რამდენიმე წევრი გადამდგარა ქალაქ გარეთ წასვლისა გამო. ვისურვებთ, რომ ყრილობა დღესვე მოხდეს და საზოგადოების წევრებმა ისეთი გულ-გრილობა არ გამოიჩინონ, რომლისაგამო ყრილობა ხშირად მეორედ ინიშნება.

⁂ 10 იანვარს პეტერბურგის ბირჟაზედ ტფილისის სათავად-აზნაურობის ბანკის გირავნობის ბილეთებში იძლეოდნენ ათ-თუმნიანში 94 მან. და ქუთაისისაში 94 და 93 მან. მაგრამ გამსყიდველნი არ იყვნენ.

⁂ წარსულს გიორგობის-თვეში ქ. თელავში გამართულ იქმნა სალიტერატურო საღამო, ი. როსტომაშვილის მიერ დაარსებულის უფასო საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ. შემოსავალი იყო სულ 40 მან. ხარჯს გარდა დარჩა ნაღდად 30 მან., რომელიც, დანიშნულებისა მებრ, გარდაეცა სასწავლებელს.

* * *

ნაკვესი

თ. ზიმინა ჩოლაყაშვილს ერთხელ თურმე გუბერნატორი ორლოვსკი ჰსწვევია სოფელს ასმეტაში. გზაში თურმე დებულა ძველადგანვე დაშთენილი ლულა ზარბაზნისა. ორლოვსკის თვალი შეუსწრია და უკითხავს მასპინძლისათვის:

— საკვირველია, აქამდის როგორ შეგრჩენიათ ეს ძველი ნაშთი?

პრიკაზმა არ მიიღო გირაოთ და იმიტომ, ბატონო, უპასუხა თ. ზიმინამ.

* * *

ჩვენში ერთი პედაგოგია, რომელიც ხანდა-ხან მუზებსაც ეარშიყება. ზოგიერთი მისი ლექსები «დროებაში»-აც იყო დაბეჭდილი, უფრო ბევრი კი თითონ ავტორს აქვს რვეულათ შეკრული და მეგობრებს აკითხებს, როცა ესენი ესტუმრებიან ხოლმე.

ერთხელ აკაკი მისულა მასთან და მახლობელ სოფელში წასასვლელად პოეტ-პედაგოგისათვის ცხენი უთხოვნია. რა საკვირველია, პოეტმა პოეტს მაშინვე შეუკაზმა ცხენი—თუმცა არა ბედაური—და მოართვა. რომ გზაზე არ მოსწყენოდა აკაკის, მან თავისი რვეულიც გაატანა, ღამე წასაკითხავად.

მეორე დღეს სტუმართ მოყვარე პედაგოგმა ჰკითხა უკან დაბრუნებულ პოეტს:

— როგორ იმოგზაურე, აკაკი? ღამე როგორ გაატარეო?

— რა გითხრა, ძმაო, დღე შენმა ცხენმა დამტანჯა და ღამე შენმა ლექსებმაო:

ლელო.

* * *

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

რაც ჩვენ ახლა ცნობები გვაქვს, საქართველოს ძველს საეკლესიო ნაშთებზე, ის ცნობები გადმოცემულია, ზოგი ვახუშტისაგან, ზოგი ევროპიელთ მეცნიერთ მოგზაურთაგან და მხოლოდ იმათზე ვამყარებთ ჩვენს ცოდნას; მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა დიდი სიფთხილე. სადაც კი ადგილობრივ იმათ ერთი მეორეს ამოწმებთ და იკვლევთ, ხშირად პოულობთ მათში ჭეშმარიტების წინააღმდეგობას. აი ამ წინააღმდეგობის ფაქტი.

გორის მაზრაში, ატენის ხეობაზე არის დიდი ეკლესია, სახელ-წოდებული ატენის სიონად, რომელიც განსვენებულის ბროსსეს გამოძიებით მე-XI-ს საუკუნის ძეგლად ირიცხება. მე ეს ეკლესია ვნახე ორჯელ: შარშან და წელს ზაფხულში. პირველი ნახვა იყო საღამოხანს, როდესაც შიგნითი მხატვრობა არ ირჩეოდა; მაგრამ მის გუმბათის მოყვანილებამ, გარეგანის ქანდაკების ხასიათმა და შიგნითმა პლანმა წარმომიდგინა ჯვარის-მონასტერი მცხეთის პირდა-პირ, რომელიც მე-VI საუკუნეშია დაწყობილი და დასრულებული მე-VII საუკუნის დამდეგს. ამ გვარის ხასიათის ეკლესიები არსად არის საქართველოში მე-XI საუკუნეში: ამ დროს ეკლესიის ხელოვნება სულ სხვაა. მეორე ნახვაზე, როდესაც ეკლესია შიგნით გაიშინჯა, იმისმა მხატვრობამ ყოველივე ეჭვნეულობა გააფანტა. მართალია მხატვრობა, როგორც საზოგადოდ მთლად ეკლესია, მცხოვრებთ დაუდევნელობისაგამო დიდს უწმინდურობაშია, მაგრამ ცხადადა ჰსჩანს კედლებზე ორის სხვა და სხვა ეპოქის მხატვრობა (ჩემმა თანა-მოგზაურებმა მესამე, უფრო უძველესიც შენიშნეს; ეს უფრო ნათელ დღეს კარგა დაკვირვებით გაშინჯვას მოითხოვს): ერთი, ანუ ბოლოს დროისა ეკუთვნის მე-XI საუკუნეს და წარმოგვიდგენს სხვათა შორის სურათებს ამ საუკუნის მეფეებისას, გიორგისას და ბაგრატ «ნობილისსიმისას»; საუბედუროდ ამ სურათების ტანი დაცვივნულია; შერჩენილა მხოლოდ თავები გვირგვინებით და წარწერებით. ადგილ-ადგილ, სადაც მე-XI საუკუნის მხატვრობა აყრილა, იმის ქვეშეთ აღმოჩენილა წინანდელის ეპოქის მხატვრობა. ერთს ადგილს სამხრეთით ამ ძველს მხატვრობაზე შერჩენილა ხუცურის ასომთავრულით ნახატი შემდეგი შესანიშნავი წარწერა: «თვესა აგვისტოსა 5-სა დღესა შაბათსა, ქორონიკონსა 73 (853), ზედა-წელსა სარკინოზთასა (წელი არა ჰსჩანს) ტფილისი დაატყვევა ბუღამ, შეიპყრა ამისა საჭაკ და მოკლა, და მასვე თვესა აგვისტოსა 26-სა, დღესა შაბათსა ვეზირა შეიპყრა კახამ დი მე მისი თარხუნი (არა ჩანს შემდეგი)». ამ საგანზე ვკითხულობთ «ქართლის ცხოვრებაში» ბაგრატ I-ს დროს:: «მაშინ მოვიდა ბუღა თურქი ბაღდადით სპითა დიდითა, შემუსრა ყოველი სომხითი და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილებდა მას, და მოკლა ამისა ტფილისისა საჭაკ და შემუსრა ტფილისი და დაწვა ცეცხლითა» (ქ-ცხ., გვ. 190).

ბაგრატ I მეფობდა 826-876 წ:, მაშ სადამე წარწერა უჩვენებს ოც-და-მეშვიდე წელს იმის მეფობისას და ამასთანავე სრულებით ეთანხმება «ქართლის ცხოვრების» თქმულებას იმ განსხვავებით კი, რომ მოიხსენებს არა მარტო წელსა, არამედ კვირის დღესაც, რიცხვსაც და თვით მუსულმანთ წელსაც. აქედამ იგულისხმება, რომ წარწერა არის დახატული ბუღას შემოსვლის თანა-მედროის ხელით. ამ გვარნი წარწერანი აქა და იქ საქართველოში ძველის ეკლესიების კედლებზე და მხატვრობაზე, რომელნიც უეჭველად ჰმოწმობენ ცხადს «სინამდვილეს ქართლის ცხოვრებისას», ბევრს ადგილს შეგვინიშნავს, მაგრამ საუბედუროდ ჩვენ იმათ ყურადღებას არ ვაქცევთ და იგინი დროს განმავლობაში გვეკარგებიან და არავითარს კვალს არ გვიტოვებენ.

* * *

დამაკვირდი!

ძვირად მიღირს მეგობარი, მაგრამ მტერიც გამოსადეგია. მეგობრის თვალი ჩემს ნამოქმედარს დასდებს საფასურს, მტერი-კი ჩემს მოვალეობას მიჩვენებს. (შილლერი).

⁂

მარტო იგი მწუხარება ცრემლს მოგვგვრის ხოლმე, რომელიც ჩვენ თვითონ თავს გარდაგვხდია. ყოველი ჩვენგანი მარტო თავის თავსა სტირის. (ჰეინე).

⁂

ერთმა კაცმა სოკრატესა ჰკითხა: «ცოლს ვირთამ და რას მირჩევო?» შაირთამ ცოლს, თუ არ შაირთამ, — შენ იცი; ამას კი გეტყვი, რომ ორსავე შემთხვევაში ინანებ.

⁂

ქალი უგდმო — მტილია უმწვანო, მინდორია უბუჩქო, ტყეა უჩრდილო, წალკოტია უყვავილო, ფრინველია უფრთო, ცაა უნათლო,—ერთის სიტყვით ბუნებისა უარ-მყოფელი ქაჯია, რომელსაც დედათ სქესისა მარტო სახელიღა აცხია.

⁂

საწყინარისგან სიმშვიდით
ქალი თავისა მცველია.
(მეფე ვახტანგ VI.)

⁂

დაფნის გვირგვინი უფრო ნიშანია წამებისა, ვიდრე ბედნიერებისა. (გეტე).

პატარა ჩვენი მარილიც ერიოს მეთქი.

— ეჰო, ჩაიცინა. მოწყენილები ვართ ქალაქშიო და დროს გასატარებლად ვიგონებთ სულ მაგეებსაო; განა მართლა საქმეს ვაკეთებთო!

ვიფიქრე, ეს სხვა ჯურის კაცი შემხვდა მეთქი, რომლისებურნიც თითონ სიცოცხლეში არას მოქმედებენ და ვინც რასმე საქვეყნოთ მუშაობს, დასცინიან და ჰკილვენ. შევეხვეწე, დრამატიულ მმართველობის წევრების სახელები და ბინა ეთქვა. ჩამომითვალა და დავიწერე.

შეუდგე მოგზაურობას ქალაქის ქუჩებში. ოჰ, რო იცოდე რა სატანჯველი გამოვიარე! ვიარე, ვიარე და მივადეგ მმართველობის ერთის წევრის კარებსა. ვრეკე კაი ხანი, კარის გამღები ძლივს გამოვიდა.

ესა და ეს ხომ აქა დგას მეთქი?

— დიაღ, ბატონო, აქა დგასო, მაგრამ ქალაქში არა ბრძანდებაო.

— დღეს-ხვალ ხომ არ ჩამობძანდება, მეთქი.

— რა ბძანებაა, ორი სამი თვე კიდევ მოუგვიანდებაო.

— განა რა ხანია, რაც წაბძანდა, მეთქი.

— ოთხიოდ თვე იქნებაო. შუა ზამთარში თუ ცხოვრობს თითო-ოროლა თვე, თორემ სულ ქალაქ გარედ არისო.

რაღას ვიტყოდი, ავდეგ, წამოველ; ვიფიქრე, უთუოდ საზოგადოების მმართველობაში საპატიოდ ამოურჩევიათ რაიმე მოღვაწეობისათვის მეთქი.

მივედი მეორე წევრთან, საცა მანიშნეს. ვიკითხე, ესა და ეს კაცი ხომ შინა ბძანდება მეთქი?

— არა, ბატონო, აქ კი იდგა ამას წინად ორიოდ კვირას და ახლა აქ არ გახლავსო.

— მაშ ეს მაინც მითხარი, სადა დგას?

— დგომით ბატონო, ქალაქში თითო-ოროლა კვირაობით თუ ჩამოვა, თორემ სულ ქალაქ გარედ არისო.

სად არის? ვკითხე.

— რკინის გზაზეაო.

არ მიამა. მესამე წევრი მამაგონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ის სრულებით ქალაქში არა სცხოვრებდა და სამსახური სხვაგანა ჰქონდა. გავსწიე მეოთხესთან. მითხრეს, აგერ ერთი თვეა, შაქი-შირვანში გაამწესესო; წაველი მეხუთესთან, ყარაბაღში გაამწესესო.

ეს რა ხალხი ყოფილა შენი ჭირიმე ამ ქალაქში მეთქი! გზა-გზა ვფიქრობდი და მოვდიოდი. სხვა წევრების გზა არ ვიცოდი და ახლა კიდევ იმათის ბინის ძებნას უნდა შევდგომოდი. ძალიან გულზე მოველი. ღმერთიმც უშველის, დამხვდა ჩვენი ნიკოლოზ. შევჩივლე, კაცი ლამის გავწყდი ამ თქვენის დრამატიულის დასის მმართველობის წევრების ძებნითა მეთქი და ხუთ კაცში ერთი ვერ ვიპოვნე; ფული მინდა შევწირო და კაცი ვერ მიპოვნია ჩავაბარო. მასწავლე სხვების ბინა მეთქი.

საქმე გამოგლევია, მაგაებს უკან დასდევო!

— რა პასუხია მეთქი. სოფლიდამ ჩამოვხეტებულვარ კაცი და შენ განათლებული კაცი მაგას მეუბნები?

— ტყუილად გარჯილხარ, ქალაქში ვერავის იპოვიო.

— ამ ღვინობისთვეში? აქამდის ხომ სოფლებიდამ ჩამოიკრიფებოდნენ?

— რას ლაპარაკობ, შუა ზამთარში შარშან თებერვალში იყო, თუ მარტში ძლივს შეიკრიბნენ სამნი წევრნი და საზოგადო ყრილობა ძლივს მოახდინეს.

— რაზედა ჰქონდათ ლაპარაკი?

იმაზე, რომ თავმჯდომარე უარს ამბობს, მე დამითხოვეთ, არ შემიძლიანო; საზოგადოებას შესჩივლა, მმართველობის წევრები არ იკრიფებიან, ქალაქ გარედა ცხოვრობენო. ლაპარაკის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ მმართველობის წევრებს ეცნობოს, თუ მათ ტფილისში ყოფნა და მმართველობაში მონაწილეობის მიღება არა ჰსურთ, გამოაცხადონ. აქამდის აღარა ისმის-რა და საქმე მიყრუებულია. ვინც აქამდის მმართველობის წევრი ქალაქში იყო, ისინიც ქალაქ გარედ გაანწესეს სამსახურში და დარჩენილა მარტო თავმჯდომარე და ორიც სხვა. ესენიც ხან ქალაქში არიან, ხან არა. აბა ეხლა ვის იპოვი?

თავში შემოვიკარ, ვაი შენ ჩემო თავო, ამისთანა მშვენიერ საქმეს განა აგრე უვლის ჩვენი საზოგადოება მეთქი?

— ეგ რა გიკვირს. აბა მოდი ერთი ამაღამ ქართულ თეატრში წავიდეთ. იქ სხვებისაგან სხვას გაიგონებ. დრამატიულ საზოგადოებას ტანისამოსი აქვს, დაუკეტიათ და აქტიორებს ვერავინ უპოვნიათ მმართველობის წევრი, რომ გასაღები გამოართვან და ტანისამოსი, თეატრისთვის ნაყიდი

⁂

ვისაც დრო არაფრად უღირს, იგი არ არის დაბადებული დიდებისათვის.
(ვოვენარგი).

⁂

გამოიზოგეთ დრო: დრო ქარგაა, რომელზედაც იქსოვება სიცოცხლე.
(რიშარ).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

ჩვენ ქართველებს ჩვეულებათა აქვთ ახალ-წელიწადს ღამეს ბუხარს დაანთებენ, დიდ მუგუზალს შესდებენ შიგ და დაადუღუნებენ; მერე მუგუზალს სჩხრეკვენ, სჩეჩვენ, უთვალავ ნაპერწკლებს აყრევინებენ და თან ნატვრას მისძახიან: «ღმერთო, ესე გვიმრავლე ცხვარი, ძროხა, გვიბარტყე ფუტკარი; მოგვეცი ამდენი სიმინდი, პური, ღვინო» და სხვ.

თითქმის ესეთივე ჩვეულებაა მიღებული ჟურნალ-გაზეთებშიაც: ყოველს საახალწლო დღეების ნომრებში შეჰხვდებით, რომ გაზეთი ან ერთსა ნატრობს ან მეორეს და თავის ნანატრის აღსრულება ჰსურს. რუსულ გაზეთებში ბევრი ამისთანა ნატვრა შეგვხვდა, მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესოდ და ყურადღების ღირსად გაზეთის «Новости»-ს ნატვრა გვეჩვენება. ეს ნატვრა დიდად განათლებულის და ნიჭიერის მწერალის, ბ.-ნის ბობორიკინის კალამს ეკუთვნის.

ბ.-ნი ბობორიკინი ამბობს:

> ვინატრი—და ყველანი, ვინც თანა-მიგრძნობენ, ჩემთან ინატრიან ჩემის სამშობლოს განძრიელუბულს და მადლით-მოსილს აღორძინებას.— უსამშობლოდ კაცი—ფუჭი არარაობაა; ვისაც სამშობლოს თანდაყოლილი, ნათესაობრივი, ეროვნებური სულიერი ძალა ვერ გაიტაცებს, იგი უხორცო და უსისხლო, უდროვოდ დედის მუცლიდამ ღლენაკლები ნაშობია, და იგი დედა-მიწის ზურგიდამ უნდა აიგავოს.
>
> ამ სახით ჩემი უმთავრესი და გულმხურვალე ნატვრა ეს არის: მენახოს ჩემი სამშობლო აყვავებული და განძლიერებული; მოვსწრებოდე იმ დროს, რომ მამულის შვილნი—დიდია თუ პატარა, ნიჭიერი თუ უნიჭო—არ უხოკდნენ ნაჭერ-ნაჭერ, არ უგლეჯდნენ გულს თავის ღვიძლ დედას—სამშობლოს, არ სჭამდნენ ერთმანეთს, განიფრთხონ ღრმა ძილი, გამოიღვიძონ და გონებით თუ ვერა, გულით მაინც მიჰხვდნენ: რაშია სიკეთე...

მკითხველს არ ეგონოს, რომ ბ-ნი ბობორიკინი მხოლოდ გუნდრუკს უკმევდეს თავის საყვარელ სამშობლოს. არა, იგი, პირ-იქით, გულ-წრფელად აღვიარებს, რომ ყოველი მამულის-შვილი ვალდებულია, სამშობლოს ავ-კარგიანობაზე თვალი არ დაიბრმაოს. სამშობლოს ავ-კარგიანობის საქვეყნოდ გამოაშკარებას და ხმა მაღლივ აღიარებას - არა მძულვარება, ღალატობა გამოიწვევს, არამედ განუსაზღვრელი, გულითადი მისდამი სიყვარული. ვისაც ძლიერი ძულვება არ შეუძლიან, მას არც ძლიერი სიყვარული შეეძლება. ქართულად არის ნათქვამი: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.

ბ-ნი ბობორიკინი განაგრძობს და ინატრის, რომ რუსეთის ჟურნალ-გაზეთობას ჩქარა ასცილებოდეს თავიდამ საშინელი სნეულება, რომელიც მას ძვალ-რბილში გასჯდომია. ეს სნეულება გახლავთ ის უშვერის სიტყვებით ლანძღვა-გინება, უსაგნო და უმნიშვნელო კილვა—კიცხვა, უმგზავსი და უხამსი ცინვა-დრეჭა, რომელთაც ჩვენშიაც ფეხი განზე გაიდგეს. აი თქვე იდიოტებო, თქვე რეგვენნო, თქვე მოღალატენო, ჭკუით-საწყალნო, ავაზაკებო, ცუღლუტნო, ქურდებო, ანგარებით სავსენო,—გაისმის ყოველ დღეს ათასი ამ გვარი სიტყვა.

ღმერთმა ჰქმნას, ჩქარა აჰხდენოდეს ბობორიკინს ეს ნატვრა და ჩვენშიაც ძირიანად აღმოფხვრილიყოს ეს სნეულება.

> ვინატრი—განაგრძობს კიდევ ბ-ნი ბობორიკინი—და ჩემთან ბევრნი ინატრიან, რომ ისევ დაგვბრუნებოდეს ჩვენი ძველი მტკიცე პატიოსნება.

ბატონო! ვინატვრით კი არა, ორივე ხელით ბეჭედს მიუსვამთ თქვენს ნატვრას. ჩვენ ბედს ძაღლიც აღარ დაჰყეფდა, ჩვენ რომ ჩვენი ძველებური მამა-პაპეული პატიოსნება დაგვბრუნებოდეს. იქმნება ამ სიტყვაზე დაცინვის სურვილი მოუვიდეს ვისმე და სთქვას: რად იყო უწინ ჩვენში ისეთი პატიოსნება, რომ სანატრელი გაგვიხდა. ამის პასუხად მხოლოდ ერთს მაგალითს მოვიყვანთ: უწინ ერთი ბეწვი, ულვაშიდამ ამოგლეჯილი, უფრო სანდო, მტკიცე იყო, ვიდრე ეხლანდელი შეკრული და დაბეჭდილი ოქმი.

გავათავებ ჩემს ცოტად გაგრძელებულს სიტყვას კიდევ ბ-ნის ბობორიკინის ნატვრით:

> ვინატრი, რომ ვრცლად მოჰფენოდეს ჩვენს სამშობლოს ნამდვილის ჭეშმარიტის მეცნიერების ნათელი. ჩვენ არ გვიყვარს მეცნიერება, ბუნების და ისტორიის კანონები.— ხმა-მაღლივ ვიმეორებ, რომ მეცნიერება უტყუარი გზის მაჩვენებელია, ჭეშმარიტი ნათელია. ვისურვებ, რომ ჩვენი ახალ-გაზდობა გულმხურვალედ დასდგომოდეს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით, ამ გზას.—
>
> გაუმარჯოს მეცნიერებით აღჭურვილს ჭკუა-გონებას!

⁂

ერთობ შორეული კი იქნება საახალწლო ნატვრაზე, მაგრამ მაინც ლაპარაკი მინდა ჩამოვიგდოთ ერთის საკვირველის საქმის გამო. თურმე, ნუ იტყვით, ჩვენ მიწას ყიდულობენ და კარგი ფასიც დასდებია. არ გეგონოთ კი, ბატონო, რომ მიწაზე, მამულზე, ვლაპარაკობდეთ. არა!—წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენთან მოვიდა ვიღაც ფრანციელი, ამოგათხრევინათ ბარით უბრალო მიწა, გაავსო ამ მიწით ტომრები, დააწყო ურმებზე, მოგცა კაი ფასი და გასწია თავის გზაზე. აი ამ გვარ მიწაზე გელაპარაკებით. აი ერთი რუსული გაზეთი «Волжско-Донскій листокъ»-ი რას გვაუწყებს:

> 19 დეკემბერს ცარიცინიდამ წავიდა პარიჟში ინჟენერი ლანე, ლეონ დრიუს თანამშრომელი, რომელიც მდინარეთა დონისა და ვოლგის შუა არხის გასაყვან ადგილს იძიებს. ლანეს თან მიაქვს თურმე ნიმუშად 16 ფუთი მიწა და 2 ფუთი და სამი გირვანქა წყალი. მიწა დაზღვეულია 15 თუმნად. რკინის-გზა პარიჟამდე ფუთზე 3 მ. და 50 კ. იღებს.

ერთი სიტყვით, ფუთი მიწა პარიჟში, ზემოხსენებულის გაზეთის ანგარიშით, თითქმის ოთხი მანათი ეღირება. ნეტავი, ვინ არიან ეს დალოცვილები, ჩვენშიაც მაინც გაჩნდნენ. აი თუ ბანკზე დარჩენილი უფასო მამულები გასაღდებოდნენ.

სახელდახელო

(უბად ასალების და წყალ წასაღების ამბების მაგიერ).

ჟურნალ - გაზეთობის საქმის თუ ცოტათი მაინც მცოდნე კაცი ბრძანდებით თქვენ, ბ. მკითხველო, რასაკვირველია, დამემოწმებით, რომ ამ საქმისთანა ძნელი წასაყვანი და სწორ გზაზე დასაყენები ჩვენში თითქმის არ მოიძებნება სხვა საქმე. გაზეთის გამოცემა ჩვენში ისეთი ადვილი საქმე როდია, გორორც, მაგალითად, რუსეთში, ან-და უცხოეთში, სადაც ფულის შოვნაც ადვილია, თანამშრომლებისაც და მკითხველებისაც. ჩვენში იშვიათად შეხვდებით იმისთანა კაცს, რომელმაც შესძლოს და დაახარჯოს გაზეთს თუნდ ორი გროში, და, რაც შეეხება თანამშრომლებს და მკითხველებს, ისინი ხომ თითით ჩამოსათვლელნი არიან. მე არ ვამბობ იმ ათასნაირ დაბრკოლებაზე, რომლითაც უხვად მოფენილია «გზა ეკლიანი» მწერლისა. ერთის სიტყვით, რომ გამოვიკლიოთ დაწვრილებით და ავწონ-დავწონოთ ყოველ-გვარი თავ-გადასავალი «მეგაზეთისა», არ შეიძლება არ გამოვიყვანოთ ის შედეგი, რომ მწერლობა და, განსაკუთრებით, საყოველ-დღეო გაზეთის წინ-გაძღოლა ჩვენში მართლა რომ ნამდვილი გამბედაობაა.

მაგრამ დალოცვილს ღმერთს ისე გაუჩენია ეს ქვეყანა, რომ სიმწარეს თან ახლავს სიტკბოც და, სადაც ნაღველი არის ხოლმე, შარბათიც იქვე მოიპოვება უსათუოდ. თუ ზემო-აღნიშნულ თავ-გადასავალს მეგაზეთისას დავსახავთ ნაღველათ და სიმწარეთ, მის დამატკბობელ შარბათათ უნდა ჩაითვალოს ის მცირეოდენი თანაგრძნობა, რომელსაც ჰპოვებს გაზეთი მკითხველთა შორის. ჩვენდა ბედად, ამ მხრით ჩვენი «ივერია», არა თუ არ არის ლობის გარედ მოქცეული, არამედ მეტის-მეტად არის დაჯილდოვებულიც. მე, კერძოდ მაინც არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ თუმცა ამ უკანასკნელის სამის წლის განმავლობაში ბარე ორ-სამ რედაქციებთან მქონია კარგი განწყობილება და კიდეც მიმუშავნია იქ, მაგრამ არსად არ შემიმჩნევია ამ გვარი ერთგულება და სიყვარული გაზეთისადმი მკითხველებისაგან, როგორც «ივერიისადმი»... დღე არ გადის, რომ ფოსტამ არ მოგვიტანოს ერთი-ორი წერილი მაინც ჩვენის ქვეყნის რომელსამე კუთხიდამ; ამ წერილების ავტორები ათას ნაირ რჩევას გვაძლევენ გაზეთის შესახებ, გვიწონებენ, რაც მოსაწონია და გვაყვედრიან მას, რაც, მათის ფიქრით, შესაცვლელი და გასასწორებელია. ერთმა მღვდელმა ასი ვერსტიდამ ლოცვა-კურთხევაც კი გამოგვიგზავნა ფოსტით... ჩვენ, რასაკვირველია, ვალდებულ ვჰყოფთ ჩვენს თავს მადლობა ვუძღვნათ ყველა ამ, ჩვენის საქმის გულ-შემატკივართ პირთ და, სადაც შეიძლება, წინ წარვიმძღვანოთ მათი რჩევა და დარიგება.

⁂

მაგრამ ეს დარიგება ხან-და-ხან ცოტა ახსნასაც და განმარტებასაც თხოულობს ხოლმე. ამ გვარია, მაგალითად ის წერილი, რომელიც «ივერიის» პირველის ნომრის გამოსვლისათანავე მივიღეთ ჩვენ ახალ-სენაკიდამ. პატივ-ცემული ავტორი ამ წერილისა—«ერთი ვინმე სენაკელი», შემდეგ ბევრის ჩვენდამი მომართულის თავაზიანის სიტყვებისა, ერთს მეტად საინტერესო შენიშვნას გვაძლევს შესახებ ენისა. «მე ვფიქრობ, ამბობს იგი, უნდა ერიდოთ იმ გვარს სიტყვებს, რომელნიც ძნელად მისადგომელნი (?) არიან ქართველებთათვის და, მართალი რომ ვსთქვათ, არც ქართულნი არიან. მაგალითად: რა არის, ბატონო, «უღელ-ტეხილი?»—არც ძველი არის და არც ახალი. ქართულად «პერევალს» გადასარები ჰქვია». ჩვენის ფიქრით, უნდა გამოტეხილი მოვახსენოთ ბ-ნს «ახალ-სენაკელს», რომ ის ჰსცდება და სიტყვა «უღელ-ტეხილი» ნამდვილი ქართულიც არის და ამასთანავე «ძველიც და ახალიც». თუმცა ჩვენ დასახელებით არ შეგვიძლია ეხლა მივუთითოთ: სად და რომელ ძველ წიგნში შეგვხვედრია ის ჩვენ, მაგრამ რომ შეგვხვედრია, ამაში ეჭვი არ არის. ხოლო რაც შეეხება მას, ხმარობს თუ არა ამ სიტყვას ჩვენი ხალხი, ჰკითხეთ კახელს, ქართლელს, თუ გნებამთ რაჭველსაც, ერთის სიტყვით, ყველა იმ მხრის ხალხს, სადაც «უღელ-ტეხილი» ხშირია და, მაშასადამე, სახელ-წოდებულია დასაბამიდამ. გვიკვირს ისიც, რა ნახა ცუდი ბ-ნმა ახალ-სენაკელმა ამ სიტყვაში? იმ წარმოდგენით, რომელსაც ის გვიხატავს საგნის შესახებ, სიტყვა «უღელ-ტეხილი» ბევრად უკეთესია სიტყვა «გადასარებზე», რომელიც იმავე სისწორით იხმარება

და შენახული, მოიხმარონ. ბაზარში ქირით იღებენ, უამისოთაც გაჭირებაში ჩავარდნილი აქტიორები.

წაველი თეატრში, ნაცნობები ვნახე და სულ მართლა, რაც ნიკოლოზმა მითხრა, იქაც ჩემის ყურით გავიგონე.

შევწუხდი, მაგრამ მაინც კიდევ იმედი მაქვს, რომ საზოგადოებას ანდერძს და წესს არ აუგებენ ეხლანდელი მმართველობის წევრები და ან თვითონ დაიწყებენ შრომას ან სხვებს—ახალ-წევრებს გადასცემენ თავის საქმესა. ამიტომ ეს გადადებული ფული შეკრული ისევ უკან წამოვიღე და ვინახავ.

მაგრამ თუ ღმერთი გწამს, თავიდამ მომაშორე და ერთი რამე ღონე მასწავლე. ამ შუა ზამთარში მმართველობა უეჭველად რასმე თადარიგს შეუდგება და მინდა ეს ჩემი შემოწირული ფული მთლად მას გადავსცე. მეშინიან არავინ მომპაროს, ან თაგვებმა ქისიანათ არ შემიჭამონ. ამბობენ, თაგვებმა ფულის ჭამა იციანო. კიდევ და კიდე გეხვეწები, ერთი წამალი რამე მოაწოდო ამ ჩემს წყლულსა. უკაცრავად, რომ ვერა გნახე, მეშურებოდა შინ დაბრუნება. ქალაქში შენ მეგულები მუდამ მცხოვრებელი და ამ წერილს ამიტომ შენა გწერ. პასუხს ველი.

დავშთები შენის ბედნიერების
მოსურნე პაატა.

სოფ. მეტიჩრიანთკარით ქალაქ ტფილისსა 1885 წელსა გიორგობის 15-სა დღესა.

ჩემი წერილი ბატონს პაატასთან მიწერილი:

საყვარელო ძმაო და გულითადო მეგობარო, ბატონო პაატავ!

ვისწრაფი ტკირთისა შენისა შემსუბუქებასა. მრავალი ზრუნვა და საგონებელი გამიჩინა თქვენმა სასურველმა წერილმა და ამა აზრსა ზედა დამადგინა. გამოგზავნე ფოშტით ეგ ფული ქალაქის რომელსამე ბანკში პირდაპირ და სთხოვე, რომ ბილეთი ქართულ დრამატიულ საზოგადოების სახელობაზე დასწერონ და თქვენვე გამოგიგზავნონ. აღარც თაგვი შეგიჭამს და აღარც შემოგეხარჯება. იმედი მაქვს შენს გულსაც ამითი შვება მიეცემა. როდესაც საქმე გაათავო, მაცოდინე.

დავშთები შენი უმორჩილესი
მონა და მოსამსახურე
ანჩხატელი.

ტფილისი 1885 წ.
ქრისტეშობის 1-სა.

მეორე წერილი პაატასი ჩემთან:

ძმაო ანჩისხატელო!

ღმერთმა მტერი ისე მოგაშოროს, როგორც შენ მე მწუხარებისაგან დამიხსენი და მოვისვენე. შენი ბრძნული რჩევა ავასრულე. ფული გამოვგზავნე ბანკში და ბილეთიც მამივიდა.

მოვისვენე მეთქი, მაგრამ უნდა მოგახსენო, რომ სხვა ჭირი გამიჩნდა: ნიაღვარი შემომეპარდნოდა სახლში და ბილეთი დამსველებოდა, მერე ვითომ ცეცხლზე გაშრობის დროს გარუჯულიყო. შიშით გამომეღვიძა. მომაშორე ამ ჭირსაცა, თორემ ერთი რამ ხათაბალა ამიტყდება: ის ხომ სიზმარი იყო და აი ცხადად რა დამართა იმ ბილეთსა: თქვენს რძალს, ჩემს მეუღლეს, კედლის მოსართავი სურათი ჰგონებოდა, ამოელო სკივრიდამ და ცომით კედელზე მიეკრა. დავინახე და გული გამისკდა. მომაშორე, შენი ჭირიმე, გული გულის ალაგას აღარა მაქვს. ახლა ხომ შუა ზამთარია და დრამატიული საზოგადოების მმართველობა შეიყრებოდა. მანდ მოახსენე, რა წამსაც მოითხოვენ, მაშინათვე წარმოვგზავნი. ჩემი გვარი არავის გააგებინო. ხომ იცი კეთილი საქმე ისე უნდა მოიქმედო, მარჯვენა ხელით ნამოქმედარი მარცხენამ ვერ ნახოს.

შენი პაატა.

ქრისტეშობის 15-სა 1885 წ.

მე ქვემორე ამის ხელის მომწერელიც ხათაბალაში ჩავარდი, დრამატიულ საზოგადოების მმართველობას ვეძებ ქალაქში და ვერ მიპოვნია. არ ვიცი, ვის მოვახსენო ამ ბილეთის საქმე. მეტი ღონე არ არის, ისევ გაზეთის შუამავლობას უნდა მოემართო. ამიტომ გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, წყალობა მოიღოთ და ამ წერილებს ადგილი დაუთმოთ. სხვა არა იყოს-რა, გაზეთს მასალა და მკითხველს სალაპარაკო საგანი მიეცემა.

ეს საქმე ძებნა-გამოცანასა ჰგავს. ვნახოთ, რომელი რომელს იპოვის: დრამატიული საზოგადოების მმართველობა მოსძებნის ამ ბილეთსა, თუ ბილეთი მოუფრინდება მმართველობასა. ამასთანავე ვასრულებ ბატონის პაატას სურვილსა და ამიტომ მის გვარს არ ვაცხადებ. მხოლოდ ერთს დავუმატებ, სასიხარულოს, რომ როგორც საიდუმლოდ მაცნობა პაატამ, კარგი ციფრა თურმე რამდენისამე ნოლით. მეორე გასახარელი ის არის, რომ ახლა ამ ფულს თავის სასარგებლოდ ვერც შემტანი მოიხმარებს და ვერცა-რა სხვა ვინმე, გარდა დრამატიულის საზოგადოებისა, რადგანაც მის სახელობაზე არის ბილეთი დაწერილი და ბანკში ჩაბეჭდილი.

ანჩხატელი.

თუნდა რომ მინდვრის შესახებაც და რომელიც სიტყვა-სიტყვით, მონებურად არის ნათარგმნი რუსულიდამ. ამ გვარივეა სიტყვა «მოწინავეც», რომელსაც ბ-ნის ახალ-სენაკელის აზრით, უნდა ვხმარობდეთ «მეთაურის» მაგიერ. დააკვირდით: **передовой** და მოწინავე. ვისაც პირველად შემოუღია ეს სიტყვა იმ მნიშვნელობით, რასაც ნიშნავს სიტყვა «**передовой**»—კი არ გადმოუთარგმნია, ყურით გადმოუთრევია ის რუსულიდამ. არ მესმის, რისთვის მე, ან შენ, ბატონო მკითხველო, უნდა ვსცეთ პატივი ამ ყურით გადმოთრეულ სიტყვას და უარვჰყოთ ჩვენი დამდვილი სიტყვა, ეგრედ ხშირად ხსენებული დარბაისულ ქართველ გლეხისაგან?

არა, ბატონო ახალ-სენაკელო, ჩვენ სიტყვას უთავ-ბოლოოდ არ ვიგონებთ, ჩვენ მხოლოდ არ დავსდევთ სხვის უვარგისს, თუ ჩვენთვის ღმერთს ჩვენთვის კარგი და სავარგისო მოუცია.

⁂

რამდენადაც მადლობისა და ქების ღირსია ბ-ნი ახალ-სენაკელი ზემომოყვანილ წერილისათვის, რომელიც, ჩვენის ფიქრით, თუმცა საფუძვლიანი არ არის, მაგრამ მეტად გულ-წრფელი და გულ-მტკივნეულია, იმდენად უდიერი და აზირებულია მეორე ცრემლ-ფრქვეული ეპისტოლე ერთის ვიღაც «ივერიის» «გულითადის მომხრესი», უსახელოდ წარმოგზავნილი. მეგობრები, მოგეხსენებათ, სხვა-და-სხვა გვარნი არიან; ზოგიერთი მათგანნი მტერზედ უარესნი არიანო, იტყვიან, და სწორედ რომ მათზეა ნათქვამი: «ღმერთო, მიხსენ მოყვასთაგან და მტრებს მე თითონ გავუძლებიო!» ამ გვარი უნდა იყოს ჩვენი «მეგობარიც». დასამტკიცებლად, ნება მომეცით მოგახსენოთ ერთი ამბავი. «ივერიის» პირველ ნომერში, «ნაკვესის» განყოფილებაში, იყო დაბეჭდილი ბ-ნ კიკო ჩოლაყაშვილის სიტყვა დავით ჭავჭავაძის დასაფლავებაზედ და, სხვათა-შორის, შემდეგი: «ჩვენ ქვეყანაში თავადობას მეფეები აძლევდნენ საზოგადოდ, თქვენ კი (დავით ჭავჭავაძეს) თვით ერმა მოგანიჭათ ეს წოდება: მთელს კახეთში «კნიაზიანთ» ოჯახს მარტო თქვენს ოჯახს ეძახდნენო»... მგონი, ცხადია, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები და ვისზეა აქ ლაპარაკი. მაგრამ, ნუ იტყვით, ჩვენში ყოფილან იმისთანა კაცები, რომელთაც წაკითხულის გაგება არათუ ეძნელებათ, არ სდომებიათ კიდეც. ზემო მოყვანილი სიტყვები ასეთის აზირებულის თავისებურობით უთარგმნია ჩვენს «მეგობარს» და რედაქტორს უკიჟინებს ამ რიგად: «თქვენ არა გაქვთ ნება სთქვათ თქვენს თავზე, რომ საქართველოში ჭავჭავაძე პირველ თავადთაგანიაო და არამც-თუ თავადობა, არამედ პირველი კნიაზობაც ჭავჭავაძიანთ გვარს ხალხმა მისცაო და არა საქართველოს მეფეებმა, რომელთაც მისცეს სხვა ქართველებს თავადობაო. უალრესობა ჭავჭავაძეებისა სჩანს ზმის გამოთქმაშიაც და გიორგი ჭავჭავაძის პასუხშიაც, რომელიც უთხრა კიკო ჩოლაყაშვილს. ეკატერინე ჭავჭავაძის დედოფლობასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელ-განთქმულობაზე კი არას ვიტყვით: ესეც დიდი ქებაა... ამაზე ლაპარაკი თქვენ მიერ გამოცემულ გაზეთის პირველ ნომერში დააფრთხობს ხალხს და უიმისოდაც ბევრის მტრის მექონს, აგიშლით უფრო ბევრს მტერს. ჩემის აზრით, თუ გსურთ, თქვენს გაზეთს გავლენა ჰქონდეს და იყოს გავრცელებული, თქვენის გვარის ქება არ უნდა იყოს დაბეჭდილი»... საბრალოვ «ივერია!» რა წვრილმან საგანზე ყოფილა დამოკიდებული შენი ბედი! საბრალო ჭავჭავაძიანთ გვარო! შენ არ უნდა იხსენიებოდე სრულიად, მაშინ, როდესაც ზუგდიდელს მთავარ-დიაკონს, დავით დადიანის მასხარას და მრავალს სხვას მაღალ და მდაბალ წოდების პირებს სრული უფლება აქვსთ გამოიჭიმონ გაზეთში!.. «უალრესობა ჭავჭავაძისა სჩანს ზმის გამოთქმაშიაც და გიორგი ჭავჭავაძის პასუხშიაც, რომელიც უთხრა მან კიკო ჩოლოყაშვილსაო!» არა, რას სთხზავდა ის დალოცვილი ამ ზმას? ან ვინ ატანდა ძალას თ. გ. ჭავჭავაძეს მოსწრებული პასუხი მიეცა ბ. ჩოლოყაშვილისათვის, ან და ვინ ეხვეწებოდა ამ უკანასკნელს წარმოეთქვა სიტყვა, ანუ და ბ. ღელომ, როგორ ვერ მოიფიქრა, რომ ჭავჭავაძიანთ გვარის უალრესობა «ივერიის» მკითხველების საფრთხობელად შეიქნებოდა, მაგრამ ყველაზე უფრო გულ-საკლავი ის არის, რომ ეკატერინე ჭავჭავაძისა ყოფილა დედოფალი და ალექსანდრე ჭავჭავაძე—სახელ განთქმული კაცი! ამ უბედურებამ, რასაკვირველია, საბოლოოდ უნდა მოკლას «ივერია» და განსაკუთრებით ჩვენი რედაქციის სახელი! ამაზედ კიდევ უფრო დიდი უბედურება წარმოსადგენია, მკითხველო?

— რასაკვირველია, არა! მაგრამ არ შეგვიძლიან არ ვიკითხოთ: საიდან სადაო, წმინდაო საბაო, სად გოჯის თავი და სად აზამბურელი თათარი, სად ჩვენი «გულითადი მეგობარი» და სად ჩინეთის მინისტრი, სად დავით ჭავჭავაძის ოჯახის ქება და სხვა ჭავჭავაძიანთ გვარის უალრესობა? ამისი ალსნა მარტო ჩვენს მეგობარს შეუძლია, მაგრამ...

მაგრამ, ერთის მხრით, უნდა გამოვტყდე, მე კი ვჭოჭმანობ, მკითხველო! ვინ იცის, ეგებ მართალიც იყოს ჩვენი უცნობი მეგობარი: მართლა-და «ნაკვესში»—ჭავჭავაძე, «სახელდახელოში»—ჭავჭავაძე გაზეთის ბოლოს—ჭავჭავაძე, რედაქტორი—ჭავჭავაძე, გამომცემელი—ჭავჭავაძე, ლექსებში—ჭავჭავაძე, მეთაური წერილი—ჭავჭავაძისა, ფელეტონი—ჭავჭავაძისა, დედოფალი—ჭავჭავაძის ქალი, ქებას უძლვნიან—ჭავჭავაძის ოჯახს, «მილით მოჰყავთ»—ჭავჭავაძის ღვინო, —ერთის სიტყვით, სულ ჭავჭავაძე და ჭავჭავაძე.

აგრევს კაცს ამ გვარი უსამართლობა, მა რას იზამს?

ილ. ხონელი.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა—23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

8 დღე ოთხშაბათი. ღირსისა გიორგი ხოზივიტელისა, წმ. აბო სპარსისა, წამებულ იქმნა ტფილისს 790 წ. მეტეხის ახლოს, ავლაბრის ხიდის ყურთან, სადაც ეხლა ნიშია. აბოს გვამი დამარხულია ქართლში სოფ. არბოს ეკლესიაში; სომხთა: მე-3 დღე შობისა და ნათლის-ღების შემდეგ. სალამოზედ ნახატონაკია. კათოლიკეთა: აბატის სევერინისა და ფელიქსისა. მაჰმადიანთა: მე-15 დღე რები-ულ-ახირის თვისა, 1303 ჰიჯრისა.

მიიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზ ქ. ასტრახანს. ერეკლე II გამეფდა ქართლსა და კახეთში 1762 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—19. ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 4—59. მთვარე ამოდის 6—48; ჩადის 7—23. მთვარე 16 დღისაა. 10 საათ. 44 წ. დ. ტფილისში იწყება გავსება მთვარისა.

9 დღე ხუთშაბათი, წმ. მოწ. პოლიევკტოსი. კათოლ. მარციანისა და სალვიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—36 ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 5—1; მთვარე ამოდის 7—59 ღამ., ჩადის 8—5

10 დღე პარასკევი. წმ. გრიგოლ ნოსელისა. კათოლ. ამატონისა და ეპ. ვილჰელმისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 5—2. მთვარე ამოდის 9—10 ღამ., ჩადის 8—44.

11 დღე შაბათი. დღეობა თეოდოსე დიდისა. კათოლ. გიგინისა და მონორატისა.

გარდაიცვალა მეფე ქართლისა ერეკლე 1789 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—8. ტფილისში მზე ამოდის 7—21; ჩადის 5—3. მთვარე ამოდის 10—19 ღ., ჩადის 9—23.

12 დღე კვირა, წმ. ქალწულ-მოწამისა ტატიანასი. კათოლ. არკადისა და ლუკრეციისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—22. ტფილისში მზე ამოდის 7—20; ჩადის 5—5. მთვარე ამოდის 11—24 ღ., ჩადის 9—59.

13 დღე ორშაბათი, წმ. მოწ. ერმილე, სტრატონიკე. სომხთა: სახელწოდება, წინადაცვეთა უფლისა. ნახატონაკი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—36. ტფილისში მზე ამოდის 7—19; ჩადის 5—6. მთვარე ამოდის 11—24; ჩადის 10—34.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	$2\frac{1}{4}$,,
,, ,, 2 ,,	2 ,,
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	$4\frac{1}{2}$,,
მე-2 ხარისხისა	$3\frac{1}{2}$,,
მე-3 —	3 ,,
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ,,
2 —	7 ,,
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 ,,
ცხვრის ხორცი	7 ,,
ღორის ხორცი 4-ლის ხარისხ.	5 ,,
2-ის ხარისხ.	4 ,,

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სალამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით სალამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად პატარა სურათებიანი წიგნი (33 სურათია), რომელსაც ეწოდება:

შალვას თავ-გადასავალი.

ცახელისა

ფ. 20 კ. ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზი.ლაზი (3—3)

ბ. ლიაძის

მოსამზადებელი სასწავლებელი

პანსიონითურთ.

კუკია, ანდრეევის ქუჩა № 13.

10—5)

წლიური ანგარიში

კუხისა და გუბის გამსესხებელ—შემნახველის ამხანაგობისა 1885 წ.

პირველს იანვარს 1885 წლისა იყო ამხანაგთა რიცხვი 81.

	მან. კაპ.		მან. კაპ.
წილის ფული	1,972— »	გასესხებული	3,551— »
მობარებული ფული	1,507— »	ნაღდ ფულად კასაში.	194—87
მოგება	266—87		
ჯამი	3,745—87	ჯამი	3,745—87

1885 წლის განმაელობაში მოემატა ახალი ამხანაგი 60.

შემოვიდა:	მან. კაპ.	გავიდა:	მან. კაპ.
წილის ფული.	867—09	წილის ფული.	1— »
სარგებელი დაჭრილი გასესხების დროს	600—98	მოგება წილზედ	198—68
ჯარიმა.	1—24	სესხად გაცემული.	9,056—75
დაბრუნებული ნასესხი	7,434—75	სარგებელი ვადაზედ წინათ გადახდილის სესხისა.	11—95
მობარებული ფული	1,654—73	მობარებული ფული	995—50
სათადარიგო თანხა	20—19	სარგებელი მობარებულ ფულზედ	107—95
სხვა-და-სხვა შემოსავალი.	18—18	მმართველობის ხარჯი.	96—31
		სხვა-და-სხვა ხარჯი	2— »
		ალებ-მიცემობისა	20— »
ჯამი.	10,597—16	ჯამი.	10,490—14

პირველ იანვრისათვის 1886-ის წლისა არის: ამხანაგთა რიცხვი 141.

	მან. კაპ.		მან. კაპ.
წილის ფული.	2,838—09	გასესხებულია.	5,173— »
მობარებული ფული	2,166—23	დარჩენილია 301 მ. 89 კ.	
სათადარიგო თანხა	20—19	ნაღდ ფულად.	146—89
მოგება	450—38	ქონებათ	155— »
ჯამი.	5,474—89	ჯამი.	5,474—89

ამხანაგობის საზოგადო წლიური ყრილობა მოხდა 21-ს დეკემბერს 1885 წლისა; ყრილობამ დაამტკიცა წლიური ანგარიში და გაანაწილა 1885 წლის მოგება ამ გვარად:

	მან. კაპ.
სათადარიგო თანხა გადიდვა	30— »
ამხანაგების დასარიგებლად წილის ფულის თანაბრად	334—99
მმართველობის ხარჯად მომავალი წლისათვის	64—39
კომიტეტის სასარგებლოდ	3— »
სკოლის სასარგებლოდ	10— »
ამხანაგობის ბიბლიოთეკისათვის.	8— »
ჯამი.	450—38

წილის ფულის თვითეულს მანათს ერგო მოგება 13 კაპეიკი.

რჩევის წევრნი: გ. ზ. ალშიბაია,
სოლ. იოს. წერეთელი,
დ. კაკაბაძე,
ლ. კაკაბაძე,
ბგ. გორდაძე.
თედ. მოსეშვილი.

წევრნი გამგეობისა: ნესტ. წერეთელი.
მღ. ზ. ცაგარეიშვილი.
ხონის მოვაჭრე გრიგოლ ბალანჩივაძე.

(1—1)

Дозволено цензурою Тифлисъ 11 января, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასახლის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.